ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ.თბილისი **"21 " აპრილი 2023 წ.**

ერთის მხრივ, შ.პ.ს. "საქართველოს ტელერადიოცენტრი" (შემდეგ – "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი დეკანოსიძის სახით და მეორეს მხრივ, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო" (შემდეგ "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის დავით გიორგობიანის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შეყიდვის ჩატარების წესის" და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

"ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

"მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

"დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის ბალანსზე რიცხრული არა უმეტეს 5 წლის წლოვანების 1 ერთეული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების hyundai sonata-ის (VIN:KMHL341BBLA100315) ტექნიკური მომსახურების და ამ მომსახურებებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების (აგრეთვე საცხებ-საპოხი მასალების) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შეყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "თ"-ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე. **(CPV კოდი – 50100000 სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები; დეტალური CPV კოდები – 50112000 მანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).**

2.2 ზემოთხსენებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ვრცელდება მწარმოებლის ქარხნული საგარანტიო პირობები. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება საგარანტიო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით მწარმოებლის მიერ დადგენილი გეგმიური მომსახურებების გაწევა შესაბამისი ინტერვალების დაცვით, და ასევე განხორციელდება არასაგარანტიო მომსახურების ფარგლებში სხვადასხვა შესაძლო და აუცილებელი ტექ.მომსახურების გაწევა.

2.3. ტექნიკური მომსახურების განფასება (პრეისკურანტი) მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში (ფრაის-ლისტი).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის (გასაწევი მომსახურების) საერთო სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება ლარებში და შეადგენს არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარს და მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომლის გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს.

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში №1 (პრეისკურანტი).
3.3 ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეიძლება შემცირდეს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, ამასთან არ არის აუცილებელი შემსყიდველის მიერ სრულად იქნეს ათვისებული ხელშეკრულებისა 3.1. პუნქტში დაფიქსირებული საერთო თანხა.
3.4 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების დაფინანსების წყაროა შემსყიდველის 2023 წლის სახსრები – საკუთარი შემოსავლები.

4. მხარეთა უფლება მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე.
4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.
4.3 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.
4.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
4.5 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
4.6 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
4.7 თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან ამ ხელშერულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.
4.8 თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან მათი არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად ან/და არადროულად შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება გაწეული უნდა იქნეს მიმწოდებლის შესაბამის სერვის-ცენტრში მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი (N: 204);
5.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური მომსახურებების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის შესაბამისი მოთხოვნის/მიმართვის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან/მიმართვიდან გონივრულ ვადებში, თუმცა არაუმეტეს ხელშეკრულების 5.3 პუნქტით განსაზღვრული ვადებისა. შემსყიდველის თითოეული ამგვარი მოთხოვნისას/მიმართვისას მიმწოდებელი ვალდებულია ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება, რის შემდგომაც მხარეები ადგენენ დათვალიერების აქტს (დათვალიერების აქტში მოცემული საქონლის სრულად მოწოდების და შესაბამისი მომსახურების სრულად გაწევის შემდგომ, მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში, დათვალიერების აქტი ჩაითვლება როგორც მიღება-ჩაბარების აქტი), რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურებების და სათადარიგო ნაწილების (ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი/უხმარი) დეტალური ჩამონათვალი, მათი ღირებულებები, აგრეთვე მომსახურებების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო/საორიენტაციო ვადები და ა/მ-ის ოდომეტრის ჩვენება (საგარანტიო პირობების შესრულების მოთხოვნებიდან გამომდინარე); იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად შესრულებული მომსახურება ან/და შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით; თითოეული ტექნიკური მომსახურების გაწევის დასრულების შემდგომ მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
5.3 ამ ხელშეკრულების 5.2. პუნქტში განსაზღვრული "გონივრული ვადები" არ უნდა აღემატებოდეს ქვემოთმოცემულ ზღვრულ პერიოდს:

სავალი ნაწილის შეკეთების ვადები – არაუმეტეს 2 სამუშაო დღე;
ელექტროობის შეკეთების ვადები – არაუმეტეს 2 სამუშაო დღე;
სხვადასხვა აგრეგატების შეკეთების ვადები – არაუმეტეს 5 სამუშაო დღე;
სათუნუქე ან/და სამღებრო სამუშაოების ვადები – არაუმეტეს 10 სამუშაო დღე;
ხანგძლივი მომსახურების (ძრავის, სიჩქარეთა კოლოფის, ხიდის) გაწევის ვადები – არაუმეტეს 15 სამუშაო დღე, ხოლო განსაკუთრებით დეფიციტური სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა – არაუმეტეს 40 სამუშაო დღე;

სხვა მომსახურების ვადები (დიაგნოსტიკური მომსახურება, დისკის აღდგენა/ბალანსირება და სხვა) – არაუმეტეს 1 სამუშაო დღე;

5.4 თითოეულ შემთხვევაში ტექნიკური მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით).

5.5 საწარმოს ხელმძღვანელების გარდა, შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის და ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტაციის (მათ შორის დეფექტური აქტები, დათვალიერების აქტები, სხვადასხვა საგარანტიო ტალონები/დოკუმენტები და სხვა) ხელმოწერაზე უფლებამოსილია საწარმოს შემდეგი თანამშრომლები: ნესტორ თამარაშვილი ან/და დირექტორის სპეციალური ბრძანებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირი;

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი საწარმოს ინსპექტირების ჯგუფი შემდეგ თანამშრომელთა შემადგენლობით: ნ.თამარაშვილი;

7. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება (ასევე მომსახურების გაწევისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები, საცხებ-საპოხი მასალები) ხარისხიანია და შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და არსებულ სტანდარტებს.

7.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეულ მომსახურებას, შეცვლილ დეტალებს (ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი/უხმარი) და აღდგენილ დეტალებს არ გააჩნია რაიმე ნაკლი ან დეფექტი და იქნება ვარგისი თავისი დანიშნულებით გამოყენებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, ამ ხელშეკრულების დანართში განსაზღვრულ ვადებში, საკუთარი სახსრებითა და რესურსებით უზრუნველყოს ნაკლის და დეფექტის აღმოფხვრა (აუცილებელი კონკრეტული მომსახურების ხელახლა გაწევა და შესაბამისი მასალებით/ნაწილებით უზრუნველყოფა). წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებლის ქმედება კლასიფიცირდება როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, და მასზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და სანქციების საკითხები.

7.3 გეგმიური და საგარანტიო მომსახურების მიღმა გაწეულ ტექ.მომსახურებასა და ამ მომსახურების შესაბამის დეტალებზე (ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი/უხმარი) ვრცელდება გარანტია, რაც შეადგენს არანაკლებ 6 (ექვსი) თვეს. საგარანტიო ვადის ათვლა დაიწყება მხარეებს შორის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის თარიღიდან.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მომსახურების გაწევის შემდგომ, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ოდენობის ფარგლებში, მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. შემსყიდველი უფლებამოსილია არ მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან საგადასახადო დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები და/ან ანგარიშ-ფაქტურა) წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

9. ფასები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დაფიქსირებული მომსახურების გაწევის საერთო სავარაუდო ღირებულება წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტერს და მისი გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და ამ ხელშეკრულების 9.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ღირებულების გაზრდა დასაშვებია მაქსიმუმ 10%-ის ფარგლებში (და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა აუცილებელი ცვლილება აღემატება 5%-ს), ამასთან მიმწოდებელი ვალდებულია ფაქტობრივად (შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის აუცილებელი პირობით) დაადასტუროს ფასის გაზრდის საფუძვლის დადგომა.

ხელშეკრულების ფასის გაზრდა აუცილებლად უნდა გაფორმდეს დამატებითი შეთანხმების აქტის ფორმით და თან დაერთოს ხელშეკრულებას.

9.2 საერთო სავარაუდო ღირებულების გაზრდა შესაძლებელია, თუ ხდება ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებელი ისეთი მომსახურების გაწევა, რომელსაც ხელშეკრულების დადების მომენტში შემსყიდველი არ გეგმავდა, თუმცა აუცილებელი გახდა ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულების გაზრდის შემთხვევევაში, ხელშეკრულების დანართში წარმოდგენილი შესაბამისი განფასებების (ერთი ან რამდენიმე პოზიციის ცვლილების შემთხვევაში) ნებისმიერი თითოეული პოზიციის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ 10%-ს ფარგლებში (ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში), წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს გაზრდილი ფასით მომსახურების მიღებაზე და შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ამასთან, უზრუნველყოს ფასის ცვლილებამდე გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

9.4 ამ მუხლის 9.2. და 9.3 პუნქტების შესაბამისად საერთო სავარაუდო ღირებულების გაზრდის შესახებ მხარეებს შორის ფორმდება დამატებითი შეთანხმება, რომელიც იქნება ხელშეკრულების დანართი და მისი განუყოფელი ნაწილი. ამასთან, 9.3. პუნქტის შესაბამისად ფასის ზრდის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით განუმარტოს შემსყიდველს ფასის ცვლილების აუცილებლობისა და მისი საფუძვლების შესახებ, რაც უნდა დაადასტუროს დოკუმენტალურად. ხელშეკრულების ფასის გაზრდა აუცილებლად უნდა გაფორმდეს დამატებითი შეთანხმების აქტის ფორმით და თან დაერთოს ხელშეკრულებას.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

10.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.5 დაუშვებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11. უფლების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ‘ფორს-მაჟორი’’ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ, ბრალეული გაჭიანურების გარეშე,

უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების, მათი გამომწვევი მიზეზების და აღმოფხვრის სავარაუდო ვადის შესახებ (თუ ეს ყოველივე პროგნოზირებადია).

12.4. ამ მუხლის შესაბამისად წარმოშობილი ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების ვადა (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა) გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.5. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 30 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვის გარეშე.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

13.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევისათვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

13.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

13.5. შემყიდველის მიერ ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაწეული მომსახურების გადაუხდელი საფასურის 0,2%-ის ოდენობით.

13.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.7. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების რომელიმე მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლო გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 4%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 20 დღით ადრე.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

გ) თუ აღმოჩნდება, რომ მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურები ხარისხი მიუღებელია და აშკარად ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ მოცემულ გარანტიას.
დ) ამ ხელშეკრულების 9.3. ან/და 13.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
15.2 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხის დავის გადაწყვეტის შესახებ გადაეცემა სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში (გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შეყიდვის ჩატარების წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით), თუმცა არაუგვიანეს 2024 წლის 31 იანვრისა..
16.2 ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების – მომსახურების გაწევის პერიოდია: ხელშეკრულების დადებიდან - 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
16.3 ამ ხელშეკრულების დანართებში წარმოდგენილ პრეისკურანტში მოცემული ფასები არის მაქსიმალური, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, თითოეულ კონკრეტული მომსახურების გაწევისას თუ აღმოჩნდება, რომ კონკრეტული სათადარიგო ნაწილების და რესურსების მიმართ მიმწოდებლის მიერ იმ პერიოდისათვის დადგენილი სტანდარტული ფასი ნაკლებია პრეისკურანტით განსაზღვრულ ფასთან, მაშინ მომსახურება გაწეული უნდა იქნეს შემცირებული ფასით.
16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.
16.5 ხელშეკრულებას თან ერთვის 2.3. პუნქტით გათვალისწინებული "პრაის-ლისტი" დანართი №1 – " 5 " ფურცლად და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა ხელმოწერა და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შ.პ.ს საქართველოს ტელერადიოცენტრი ს/კ: 203829250; მის: ქ. თბილისი მთაწმინდა, ფუნიკულიორის ზედა პლატო ტელ: 2506330. სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22 ანგ№GE78BG0000000181761401; **დირექტორი** **გიორგი დეკანოსიძე** TV-Radio Center of Georgia LLC Digitally signed by TV-Radio Center of Georgia LLC Date: 2023.04.24 09:04:25 +04'00'	**ს.ს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“** ს/კ: 204478948 მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი (N: 204); ტელ: 251 77 99. სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE15TB1100000110467697 **პრეზიდენტი** **დავით გიორგობიანი** HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Date: 2023.04.21 16:16:17 +04'00'

დანართი N:1

ავტომობილის სავალდებულო სერვისის მომსახურების ფასები გარბენილი კილომეტრაჟის შესაბამისად

ავტომანქანის მარკა/მოდელი New Sonata 2.5

№	*სათადარიგო ნაწილების დასახელება*	*ერთ.ფასი ლარი*	*მომსახურება ლარი*	*2000 კმ*	*12 000 კმ*	*22 000 კმ*	*32 000 კმ*	*42 000 კმ*	*52 000 კმ*	*62 000 კმ*	*72 000 კმ*	*82 000 კმ*	*92 000 კმ*	*102 000 კმ*	*ჯამი*
1	ძრავის ზეთის ხარჯი	210		210	210	210	210	210	210	210	210	210	210	210	2310
2	ძრავის ზეთის ფილტრის ხარჯი	60	20	80	80	80	80	80	80	80	80	80	80	80	880
3	ჰაერის ფილტრის ხარჯი	80	0		80		80		80		80		80		400
4	სალონის ფილტრის ხარჯი	110	10		120		120		120		120		120		600
5	საწვავის ფილტრის ხარჯი	150	70						220				220		440
6	ანთების სანთლების ხარჯი	300	48						348				348		696
7	დროსელის გაწმენდის ხარჯი		50						50				50		100
8	დინამოს ღვედის ხარჯი	150	70									220			220
9	წყლის ტუმბოს ღვედის ხარჯი	60	50									110			110
10	გადაცემათა კოლოფის ზეთის ხარჯი	280	50											330	330
	ჯამი ლარში:			290	490	290	490	290	1108	290	490	620	1108	620	**6086**

წინა ხუნდების ხარჯი	510	25												
უკანა ხუნდების ხარჯი	300	25												

Hyundai Sonata New 2.5 ავტომატური გადაცემათა კოლოფი				
	სათადარიგო ნაწილი /საცხებ საპოხი მასალა/ მომსახურება	ზომის ერთეული	ნაწილის ფასი ლარი	მომსახურების ფასი ლარი
1	წინა ასამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	510	25
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	300	25
3	წინა ამორტიზატორი	ცალი	550	50
4	უკანა ამორტიზატორი	ცალი	500	50
5	წინა ამორტიზატორის სამაგრი ბალიში	ცალი	160	50
6	უკანა ამორტიზატორის სამაგრი ბალიში	ცალი	100	50
7	წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	110	50
8	უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	85	50
9	ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	50	50
10	წინა ამორტიზატორის საკისარი	ცალი	115	50
11	საჭის ღერძი	ცალი	1480	175
12	საჭის ღერძის შტურვალი	ცალი	530	70
13	საჭის ღერძის დაბოლოება	ცალი	95	30
14	საჭის ღერძის წევა	ცალი	105	40
15	საჭის ღერძის წევას სამტვერული	ცალი	50	40
16	წინა დაკიდების ბერკეტი	ცალი	745	60
17	უკანა დაკიდების ბერკეტი	ცალი	650	60
18	წინა დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი	ცალი	60	60
19	წინა დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა	ცალი	60	60
20	უკანა დაკიდების ბერკეტის მილისა	ცალი	60	60
21	ბურთულოვანი სახსარი	ცალი	145	50
22	უკანა დაკიდების ბერკეტი ბრტყელი	ცალი	325	70
23	ბრტყელი ბერკეტის ფრთოვანა მილისა	ცალი	150	70
24	უკანა განივი ძელი	ცალი	200	60
25	უკანა გრძივი ძელი	ცალი	180	60

26	უკანა განივი ძელის მილისა	ცალი	60	60
27	უკანა გრძივი ძელის მილისა	ცალი	60	60
28	წინა სამუხრუჭე დისკო	ცალი	430	35
29	უკანა სამუხრუჭე დისკო	ცალი	425	50
30	წინა მორგვი საკისარით	ცალი	810	60
31	უკანა მორგვი საკისარით	ცალი	620	80
32	უკანა ტრავერსის მილისა	ცალი	65	65
33	უკანა წეროს მილისა	ცალი	65	60
34	უკანა წეროს კონუსისებური მილისა	ცალი	115	65
35	მორგვის ჭანჭიკი	ცალი	15	50
36	საბურავის სამაგრი ქანჩი	ცალი	15	0
37	ყუმბარა ერთი მხარე (გარეთა შიგნითა)	კომლექტი	1960	50
38	ყუმბარა გარეთა მხარე	ცალი	750	80
39	ყუმბარა შიგნითა მხარე	ცალი	640	80
40	გარეთა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი)	ცალი	145	80
41	შიგნითა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი)	ცალი	130	80
42	გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრი (პოდკორობჩნი)	ცალი	475	60
43	ძრავის ქვედა სამაგრი (პოდმოტოტრნი)	ცალი	490	60
44	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა	ცალი	40	20
45	მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა	ცალი	35	15
46	მშრალი ამორტიზატორის სამაგრი მჭიდი	ცალი	15	15
47	წინა ღერო (სტერჯინი)	ცალი	135	30
48	უკანა ღერო (სტერჯინი)	ცალი	115	30
49	ჰაერის ფილტრი	ცალი	80	0
50	ზეთის ფილტრი	ცალი	60	–
51	კონდეციონერის (სალონის) ფილტრი	ცალი	110	10
52	საწვავის ფილტრი	ცალი	150	70
53	წყლის ტუმბო	ცალი	505	180
54	თერმოსტატი	ცალი	65	50
55	გენერატორი	ცალი	1570	100

56	გენერატორის დიოდი	ცალი	310	110
57	დამმუხტველი რელე	ცალი	330	110
58	ამძრავი (სტარტერი)	ცალი	1203	100
59	ამძრავის ჩოთქი	ცალი	197	110
60	ამძრავის ღუზა	ცალი	385	110
61	ამძრავის კბილანა	ცალი	265	110
62	ამძრავის ავტომატი	ცალი	303	110
63	ანთების სანთელი	ცალი	75	12
64	ანთების ელექტრო კოჭა	ცალი	250	25
65	ძრავის ჯაჭვი	ცალი	340	380
66	ძრავის ჯაჭვის დამჭიმი	ცალი	350	380
67	ძრავის ჯაჭვის მიმმართველი	ცალი	70	380
68	ძრავის ჯაჭვის დამამშვიდებელი	ცალი	65	380
69	ზეთის ტუმბოს ჯაჭვი	ცალი	260	380
70	ზეთის ტუმბოს ჯაჭვის დამჭიმი	ცალი	300	380
71	ზეთის ტუმბოს ჯაჭვის მიმმართველი	ცალი	60	380
72	ზეთის ტუმბოს ჯაჭვის დამამშვიდებელი	ცალი	55	380
73	დინამოს ღვედი	ცალი	150	70
74	დინამოს ღვედის დამჭიმი	ცალი	740	70
75	წყლის ტუმბოს ღვედი	ცალი	60	50
76	საჭის ელექტრო კონტაქტი (შლეიფი)	ცალი	305	50
77	საყვირი	ცალი	75	70
78	საქარე მინის საწმენდი	ცალი	95	5
79	ჰალოგენის ნათურა	ცალი	75	15
80	წინა ფარის ნათურა	ცალი	45	10
81	გაბარიტის ნათურა	ცალი	140	10
82	უკანა სტოპ ნათურა	ცალი	30	10
83	ძრავის ზეთი	1 ლიტრი	30	–
84	ავტომატური გადაცემათა კოლოფის ზეთი	1 ლიტრი	30	–
85	სამუხრუჭე სითხე	1 ლიტრი	60	–
86	ანტიფრიზი	1 ლიტრი	20	–

87	ფრეონი	100 გრ	13	–
88	ყინვაგამძლე სითხე	1 ლიტრი	20	–
89	დროსელის საწმენდი სითხე	1 ბალონი	40	–
90	საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება	ცალი	–	15
91	განშლა	კომლექტი	–	60
92	ნახარების გასწორება	კომლექტი	–	150
93	ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა	კომლექტი	–	20
94	ავტომატური გადაცემათა კოლოფის ზეთის შეცვლა	კომლექტი	–	50
95	სამუხრუჭე სითხის შეცვლა	კომლექტი	–	80
96	ანტიფრიზის შეცვლა	კომლექტი	–	60
97	ფრეონის ჩატუმბვა	კომლექტი	–	50
98	დროსელის გაწმენდა	კომლექტი	–	50
99	კომპიუტერული დიაგნოსტირება	კომლექტი	–	50
100	სავალი ნაწილის დიაგნოსტირება	კომლექტი	–	20
101	წინა ყუმბარების გადაჭერა	კომლექტი	–	40
102	საჭის მექანიზმის მოხსნა-დაყენება	ცალი	–	175
103	საჭის მექანიზმის აღდგენა	ცალი	–	175

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შ.პ.ს საქართველოს ტელერადიოცენტრი ს/კ: 203829250; მის: ქ. თბილისი მთაწმინდა, ფუნიკულიორის ზედა პლატო ტელ: 2506330. სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22 ანგ№GE78BG0000000181761401; **დირექტორი** **გიორგი დეკანოსიძე** TV-Radio Center of Georgia LLC Digitally signed by TV-Radio Center of Georgia LLC Date: 2023.04.24 09:05:07 +04'00'	**ს.ს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“** ს/კ: 204478948 მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი (N: 204); ტელ: 251 77 99. სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE15TB1100000110467697 **პრეზიდენტი** **დავით გიორგობიანი**